



Empowered lives.  
Resilient nations.

## გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა

### ქვეყანა: საქართველო პროექტის დოკუმენტი



**პროექტის დასახელება:** გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (United Nations Convention on Climate Change - UNFCCC) საქართველოს “პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში” (First Biennial Updated Report)

**UNDAF-ის შედეგი:** ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება

გაეროს განვითარების პროგრამის (UN Development Programme – UNDP) გარემოსა და მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმის პირველადი შედეგი: განვითარებად ქვეყნებში შესაძლებლობების ამაღლება, რათა მოხდეს კლიმატის ცვლილების ადაპტაციის პოლიტიკის ჩართვა ეროვნული განვითარების გეგმებში.

**UNDP-ის სტრატეგიული გეგმის მეორადი შედეგი:** --

**მოსალოდნელი CP-ის შედეგი(ები):** შედეგი 1.3: მნიშვნელოვანი ეროვნული სტრატეგიების, პოლიტიკისა და შესაძლებლობების გაძლიერება იმისათვის, რომ გადაიჭრას გარემოს დეგრადირების პრობლემები, წახალისდეს მწვანე ეკონომიკა და შემცირდეს კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობა.

**მოსალოდნელი CPAP-ის შედეგი:** --

**აღმასრულებელი ორგანო/განმახორციელებელი პარტნიორი:** საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

#### მოკლე აღწერა

პროექტის მიზანია დაეხმაროს ქვეყანას კლიმატის ცვლილების ფაქტორის გათვალისწინებაში ეროვნული და რეგიონალური განვითარების პოლიტიკაში უწყვეტი ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების პროცესით, რომელიც ნაწილობრივ ინიცირებულია და დადასტურებულია ეროვნულ შეტყობინებებში.

პროექტის შუალედური მიზანია დაეხმაროს ქვეყანას კონვენციის მხარეთა კონფერენციისათვის წარსადგენად პირველი ორწლიური განახლებული ანგარიშის მომზადებაში, რათა მოხდეს კონვენციის 1/CP.16 გადაწყვეტილებით (პარაგრაფი 60), 2/CP.17 გადაწყვეტილებითა (პარაგრაფი 41) და მისი დანართი III-ით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

პროგრამის პერიოდი	2014-2015	სულ საჭირო რესურსები	\$ 416,000
Atlas Award ID:	00081344	სულ ხელთ არსებული რესურსები:	\$ 416,000
Project ID:	00090653	• რეგულარული	_____
PIMS #	5386	• სხვა:	_____
დაწყების თარიღი:	აგვისტო, 2014	○ GEF	\$352,000
დასრულების თარიღი	დეკემბერი, 2015	○ მთავრობა	_____
განხორციელების მექანიზმი:	NIM	○ ნატურით	\$ 64,000
LPAC-ის შეხვედრის თარიღი	24-07-2014	○ სხვა	_____
		წვლილი ნატურით	\$ 64,000

შეთახმებულია - განმახორციელებელი პარტნიორი:  
ელგუჯა ხოკრიშვილი, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი

შეთამხმებულია - გაეროს განვითარების პროგრამა:  
ნილს სკოტი, მუდმივი წარმომადგენელი

თარიღი:

თარიღი:

---

## სარჩევი

I. სიტუაციის ანალიზი.....	3
II. სტრატეგია.....	5
III. პროექტის შედეგების ჩარჩო: .....	13
IV. მთლიანი ბიუჯეტი და სამუშაო გეგმა.....	15
V. მენეჯმენტის სისტემა.....	18
VI. მონიტორინგის გეგმა და შეფასება.....	19
VII. იურიდიული კონტექსტი .....	22
VIII. დანართები.....	23

---

## I. სიტუაციის ანალიზი

საქართველომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის (United Nations Convention on Climate Change – UNFCCC) რატიფიცირება მოახდინა 1994 წელს; ქვეყანა კიოტოს ოქმს შეუერთდა 1999 წელს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ აუღია არანაირი რაოდენობრივი ვალდებულება, ყვეყანამ უნდა მოამზადოს, განახორციელოს და გამოაქვეყნოს ეროვნული და რეგიონალური პროგრამები, რომლებიც მოიცავენ შემარბილებელ ქმედებებსაც. ერთ-ერთი, ყველაზე მთავარი კომპონენტი UNFCCC-ისადმი აღებული ვალდებულების განხორციელებაში არის ის, რომ მოხდეს საზოგადოების ცნობიერების განვითარება და ამაღლება კლიმატის ცვლილებისა და მისი შედეგების შესახებ, ასევე სამეცნიერო და ტექნიკური სპეციალისტების მომზადება.

ამ თვალსაზრისით საქართველომ UNFCCC-სთვის მოამზადა და 1999 წელს წარადგინა საწყისი ეროვნული შეტყობინება, 2009 წელს კი მეორე ეროვნული შეტყობინება. მესამე ეროვნული შეტყობინება მომზადების სტადიაზეა, მისი დასრულება ნავარაუდებია 2014 წლის ბოლოს. ამ შეტყობინების მომზადება ხელშეწყობილია გლობალური გარემოს დაცვის ფონდის (Global Environmental Facility – GEF) მიერ და ხორციელდება UNDP-ის მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაარსდა 1991 წელს. 2013 წელს მას დაერქვა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (Ministry of Environment and Natural Resources Protection - MENRP).

MENRP-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანის მდგრად განვითარებას გარემოს დაცვის სფეროში; მოახდინოს გარემოს დაგეგმვის სისტემის ორგანიზება; შეიმუშაოს და განახორციელოს სახელმწიფო პოლიტიკა, სამიზნე პროგრამები, გარემოს დაცვის სტრატეგია მდგრადი განვითარებისათვის, ეროვნული გარემოს სამოქმედო პროგრამები და მართვის გეგმები გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით; დაიცვას და შეინარჩუნოს უნიკალური რელიეფები და ეკოსისტემები, იშვიათი და გადაშენების პირას მისული ფლორა და ფაუნა, რაც ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი, ბიომრავალფეროვნება, კლიმატის ცვლილება, ატმოსფერული ჰაერი, წყალი, მიწა და მინერალური რესურსები; განახორციელოს ნარჩენების მართვა და ქიმიური ნარჩენების საჯარო ადმინისტრირება (რეგულაცია, რეგისტრაცია, ზედამხედველობა და კონტროლი); დაიცვას საქართველოს გარემოს დაცვის კანონდებლობა და შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

დღესდღეობით MENRP კოორდინაციას უწევს 15 საერთაშორისო, საქართველოს მიერ რატიფიცირებულ გარემოსდაცვით კონვენციას, და ამ კონვენციების 3 პროტოკოლს და 3 შეთანხმებას. ამის გარდა, სამინისტრო ახორციელებს 7 საერთაშორისო გარემოს დაცვის კონვენციისა და პროტოკოლით (რომლებიც ჯერ არ არიან რატიფიცირებული ქვეყნის მიერ) გათვალისწინებულ გარემოსდაცვით ქმედებებს.

MENRP სამ წელიწადში ერთხელ წარადგენს ეროვნულ ანგარიშს გარემოს მდგომარეობის შესახებ (SoE), რომელიც აჯამებს ინფორმაციას საქართველოში გარემოს მდგომარეობის შესახებ (უკანასკნელი და ამავე დროს პირველი SoE წარმოდგენილ იქნა 2011 წელს). აღნიშნული დოკუმენტი აღწერს გარემოს პოლიტიკის ძირითად ტენდენციებს, იძლევა ინფორმაციას გარემოს ხარისხის, მიმდინარე პროექტებისა და გარემოსდაცვითი ქმედებების შედეგების შესახებ.

2005 წლის 20 იანვრის საქართველოს მთავრობის ბრძანებით MENRP დაინიშნა კიოტოს ოქმის სუფთა განვითარების მექანიზმის (CDM) ეროვნულ უფლებამოსილ ორგანოდ. დღესდღეობით CDM-ით

დარეგისტრირებულია 7 პროექტი საქართველოდან, რომელიც ჯამში 2 მილიონი ტონა CO<sub>2</sub>-ის წლიურ შემცირებას გულისხმობს.

საქართველო შეუერთდა კოპერჰაგენის შეთანხმებას 2010 წლის 31 იანვარს და ჩააბარა დანართი II: “მონაწილე განვითარებადი ქვეყნის ეროვნული შერბილების ქმედებები“.

2013 წელს დაიწყო „დაბალემისიანი განვითარების სტრატეგიის“ (LEDS) მომზადება, რომელიც მხარდაჭერილია აშშ მთავრობის US EC-LEDS პროგრამით. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 ივლისის ბრძანების შესაბამისად შეიქმნა LEDS-ის მმართველი კომიტეტი (სამინისტროების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული), რომელიც იმოქმედებს MENRP-ის ხელმძღვანელობით.

ადგილობრივ დონეზე უკვე ქვეყნის 8 ქალაქი გაწევრიანდა ევრო კავშირის ინიციატივა „მერების შეთანხმებაში“, რომელიც ავალდებულებს წევრებს მუნიციპალიტეტების სათბური გაზების ნებაყოფლობით შემცირებას 20%-ით 2020 წლისათვის საბაზისო სცენართან შედარებით. ამ პროცესს აქვს ნაციონალური მნიშვნელობა, ვინაიდან აღნიშნული 8 ქალაქი წარმოადგენს მთელი ქვეყნის მოსახლეობის 41-46%-ს და მთლიანი შიდა პროდუქტის უფრო მაღალ წილს.

ამ დროისათვის საქართველოში კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ბევრი პროექტი ხორციელდება, რომლებიც ინიცირებულია სხვადასხვა საერთაშორისო დონორების მიერ. ზოგიერთი პროექტი ქვემოთ არის ჩამოთვლილი:

1. UNDP/GEF-ის პროექტი „საქართველო - განახლებადი ენერჯო რესურსების გამოყენების წახალისება ადგილობრივი ენერჯის მიწოდებისათვის“ (2004 - 2012). მოცემული პროექტის მთავარი შედეგები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:
  - განახლებადი ენერჯის საბრუნავი ფონდის (RERF) დაარსება და 2 მცირე ჰესის პროექტის დაფინანსება;
  - განახლებადი ენერჯის განვითარების ხელშემშლელი ფინანსური ბარიერის შემცირება RERF-ის დაარსებით;
  - გაიზარდა ადგილობრივი ბანკების უნარი გააანალიზონ პროექტის რისკები და დააფინანსონ მცირე ჰიდროელექტროსადგურები;
  - საერთაშორისო გამოცდილებიდან დაინერგა პროექტირებისა და მშენებლობის თანამედროვე მეთოდები, რაც გადაღებული იქნა მცირე ჰესების მშენებელი ადგილობრივი მეწარმეების მიერ.
2. რეგიონალური პროექტი RER/01/G31 “ეროვნული სათბური გაზების ინვენტარიზაციის გაუმჯობესება“ (2003-2006). პროექტმა წარმოადგინა რეგიონალური პროგრამული მიდგომა იმისათვის, რომ გააუმჯობესოს ეროვნული სათბური გაზების ინვენტარიზაციის ხარისხი IPCC-ის პრაქტიკული სახელმძღვანელოს გამოყენებით ხარჯების ეფექტურობის მიზნით.
3. ევროკომისია – ევროპის დახმარება/111523/C/SV/Multi- Lot No.2 “სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოსა და მოლდოვას ტექნიკური დახმარება გლობალური კლიმატის ცვლილების ვალდებულებების მიმართულებით“ (2005-2006).
4. „ტექნოლოგიების საჭიროებების შეფასების“ პროექტი (2010-2012). პროექტის მოიცავს პრიორიტეტული ტექნოლოგიების ღრმა ანალიზს, პრიორიტეტული ტექნოლოგიების გადაცემის ხელისშემშლელი ბარიერების ანალიზსა და პოტენციური საბაზრო შესაძლებლობების ანალიზს ეროვნულ დონეზე.

მიმდინარე პროექტებია:

1. GEF/UNDP პროექტი: UNFCCC-ის მიმართ მესამე ეროვნული შეტყობინება;
2. Clima East: კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ხელშეწყობა რუსეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ქვეყნებში;
3. ადაპტაციის ფონდის პროექტი „კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების მართვის პრაქტიკის განვითარება საქართველოში მათდამი მოწყვლადი საზოგადოების დაცვის მიზნით“. პროექტის მთავარი მიზანია

ქვეყნის მაღალი ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეების (რომელიც გაზრდილია კლიმატის ცვლილების შედეგად) მქონე რეგიონების მდგრადობის გაუმჯობესება. პროექტი ეხმარება მთავრობასა და სამიზნე რეგიონში (რიონის აუზი) მცხოვრებ მოსახლეობას განვითარონ საადაპტაციო შესაძლებლობები და განსაზღვრონ კლიმატისადმი მდგრადი ეკონომიკური განვითარება;

4. Clima East/UNDP პროექტი „სამოვრების მდგრადი მართვა საქართველოში კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის ქმედებების შედეგად ადგილობრივი საზოგადოებისთვის მომტანი სარგებლისა და დივიდენდების სადემონსტრაციოდ“. პროექტის მიზანია 9 ათასი ჰექტარი დეგრადირებული სამოვრის (ვამლოვნის დაცული ტერიტორიის და სხვა ალტერნატიული სამოვრების ჩათვლით) აღდგენა და სამოვრების მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა ფერმერებსა და მეცხვარეებს შორის დედოფლისწყაროს რეგიონში.
5. UNDP/GEF-ის პროექტი „ბიომასის წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა საქართველოში“. პროექტის ძირითადი მიზანია განახლებადი ბიომასის საწვავის მდგრადი წარმოებისა და გამოყენების ხელშეწყობა, რათა დაკმაყოფილდეს გათბობის საჭიროება მუნიციპალიტეტის მომსახურების სექტორში. ასევე აღსანიშნავია, რომ ეს ქმედება ამცირებს ნავთობ-პროდუქტებსა და საწვავზე დამოკიდებულებასა და სათბური გაზების ემისიების ზრდას.

UNFCCC-სთვის მესამე ეროვნული შეტყობინების (TNC) მომზადების მიმდინარე პროცესის მიზანია გაამყაროს საინფორმაციო ბაზა, მთავარი ეროვნული ინსტიტუტების ანალიტიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობები იმისათვის, რომ მოხდეს კლიმატის ცვლილების პრიორიტეტების ინტეგრირება ქვეყნის განვითარების სტრატეგიებსა და მნიშვნელოვან (შესაბამის) სექტორების პროგრამებში. TNC-ის განვითარების პროცესი კიდევ უფრო გაამყარებს დიალოგს, ინფორმაციის გაცვლის პროცესსა და თანამშრომლობას ყველა დაინტერესებულ მხარეს სახელმწიფოს, არასამთავრობო სექტორსა, აკადემიურ და კერძო სექტორს შორის. მოსალოდნელია, რომ ეს დასრულდება ნაციონალური კონსესუსის მიღწევით განსახორციელებელი ქმედებებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც საჭიროა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც თავის მხრივ მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. მესამე ეროვნული შეტყობინება UNFCCC-ს წარედგინება 2014.

აღიარებულ იქნა რა ის, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა კლიმატის ცვლილების საკითხების ინსტიტუციონალიზაციის მიმართულებით და მათი ჩართვა მოხდა ეროვნულ და სექტორულ განვითარების პოლიტიკაში, სავარაუდოდ მესამე ეროვნული შეტყობინება ხელს შეუწყობს ინტეგრაციის პროცესის გამტკიცებას და ასევე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას იმ ქმედებების შესახებ, რომელსაც დგამს ქვეყანა კლიმატის ცვლილების საკითხების გადასაწყვეტად. მესამე ეროვნული შეტყობინების პარალელურად, მომზადდა სათბურის გაზების მესამე ეროვნული ინვენტარიზაცია, რომელიც ასახავს ეროვნული სათბურის გაზების ემისიებს 2007-2011 წლებში.

იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას კანკუნსა და დურბანში მიღებული ეროვნული შეტყობინებებისა და განახლებული ანგარიშების შესახებ გადაწყვეტილებების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულებები, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი მხარდაჭერაა საჭირო, რათა გაგრძელდეს არსებული ტექნიკური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და კონსოლიდაცია და გაგრძელდეს ძალისხმევა კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრაციისა ეროვნულ პოლიტიკაში, გეგმებსა და პროგრამებში.

საქართველოს პირველი ორწლიანი განახლებული ანგარიში დაეყრდნობა მესამე ეროვნული შეტყობინების კვლევის შედეგებსა და რეკომენდაციებს, ასევე ქვეყანაში მიმდინარე დამატებითი პროექტების შედეგებს და წარედგინება UNFCCC-ს 21-ე შეხვედრაზე (COP-ზე) 2015 წლის დეკემბერში.

---

## II. სტრატეგია

პროექტის მიზანია დაეხმაროს ქვეყანას კლიმატის ცვლილების საკითხების ეროვნული და სექტორული განვითარების პოლიტიკაში ჩართვასა და ინტეგრირებაში უწყვეტად მიმდინარე

ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების გამტკიცების პროცესით, რომელიც ინიცირებულია და მხარდაჭერილია ეროვნული შეტყობინებების მიერ.

პროექტის მეორადი მიზანია დაეხმაროს ქვეყანას პირველი ორწლიანი განახლებული ანგარიშის მომზადებასა და UNFCCC-ში ჩაბარებაში იმისათვის, რომ შესრულებულ იქნეს კონვენციის 1/CP.16 და 2/CP.17 გადაწყვეტილებებითა (პარაგრაფი 41) და მისი დანართი III-ით აღებული ვალდებულებები.

პროექტის მიზანი მიღწეული იქნება შემდეგი შედეგების შესრულების შედეგად, რომლებიც შესაბამისობაშია GEF-ის კლიმატის ცვლილების შერბილების სტრატეგიული მიზნის (SO-6) GEF-5-თან: შესაძლო ქმედებები: შესაძლო ქმედებების მხარდაჭერა და შესაძლებლობების შექმნა კონვენციის ფარგლებში. შედეგი: კლიმატის ცვლილების შესაძლო ქმედებების შესრულება UNFCCC-ის ფარგლებში.

პროექტის შედეგებია:

1. განახლებული ეროვნული შეტყობინების მომზადებისათვის მნიშვნელოვანი ეროვნული გარემოებებისა ინსტიტუციური მოწყობის განსაზღვრა;
2. სათბურის გაზების ინვენტარიზაციის მომზადება 2012-2013 წლებისათვის. ახალი ინვენტარიზაცია დაეყრდნობა იგივე მონაცემების წყაროებს, რაც წინა ინვენტარიზაცია ეროვნული სტატისტიკური ბაზების დახმარებით. ჩვეულებრივ, იგი სტატისტიკას აქვეყნებს ერთი წლის დაგვიანებით. ასე, რომ 2014 წლის ბოლოს 2013 წლის მონაცემები იქნება ხელმისაწვდომი. ინვენტარიზაციის პერიოდული განახლება BUR-ის პროცესის ფარგლებში შექმნის საქართველოში შესაძლებლობებს, რომ ჩამოყალიბდეს სათბურის გაზების ინვენტარიზაციის სისტემა არსებულ ამჟამინდელ ექსპერტთა ჯგუფისა და კავშირების ბაზაზე, ეროვნული სტატისტიკის ოფისის ჩათვლით. 2010-2011 წლის ინვენტარიზაცია განახლებულია. ეს განახლება დაეფუძნება დამატებით რესურსებს (თუ არსებობს) საქმიანობის მონაცემებს (უფრო დეტალურ და დეაგრეგირებულ) , ემისიების ფაქტორებს (ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე IPCC-ის ნაცვლად, უფრო დიფერენცირებული), მეთოდოლოგია/მიდგომა (უფრო მარალი დონე), და სხვა;
3. შერბილების ქნედებების, მათი ეფექტებისა, მიღებული მეთოდოლოგიებისა და დაშვებების ჩათვლით, და ასევე განხორციელების პროგრესის აღწერა;
4. შეზღუდვებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება; დაკავშირებული ფინანსურ, ტექნოლოგიურ და შეფასებული შესაძლებლობების შექმნის საჭიროებებთან;
5. შიდა MRV-ის მოწყობის ხელშეწყობის შექმნა;
6. ინფორმაციის ცხრილების ფორმატში შეგროვება და კონსოლიდაცია და მისი გამოქვეყნება პირველი ორწლიანი განახლებული ანგარიშში;

პროექტის შედეგებია:

#### შედეგი 1

- 1.1 განახლებული ინფორმაცია ბუნებრივ რესურსებზე, კლიმატისა და ეკონომიკური თავისებურებებზე, რომლებსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეთ კლიმატის ცვლილების შერბილებასა და ადაპტაციის შესაძლებლობებზე;
- 1.2 ეროვნული განვითარების მიზნების, პრიორიტეტებისა და გარემოებების და კლიმატის ცვლილების შედეგად აღმოცენებული სპეციფიკური საჭიროებებისა და ინტერესების აღწერა;
- 1.3 ინსტიტუციური მოწყობის აღწერა, რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული შეტყობინებისა და ორწლიანი განახლებული ანგარიშისათვის (უწყვეტად წარმოების ბაზაზე);
- 1.4 მექანიზმი დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლითაც მათ საშუალება ექნებათ ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ ეროვნული შეტყობინებისა და ორწლიანი განახლებადი ანგარიშის მომზადებაში.

#### შედეგი 2

- 2.1. სათბური გაზების ინვენტარიზაციის განახლება 2010-2012 წლების პერიოდისათვის;

- 2.2. სათბური გაზების ინვენტარიზაციის მომზადება 2012-2013 წლების პერიოდისათვის;
- 2.3. მთავარი წყაროების ეროვნული ემისიების ფაქტორების განახლება წლების მიხედვით (თუ საჭიროა);
- 2.4. მონაცემების შეგროვებისა და მართვის სისტემის შემოწმება/გაუმჯობესება;
- 2.5. სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის ეროვნული გარემოს საინფორმაციო სისტემაში ჩართვის პროცესის მხარდაჭერა;
- 2.6. სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის მომზადებაში სექტორული თანამშრომლობის გაძლიერება.

### შედეგი 3

- 3.1. განხორციელებული ანალიტიკური სამუშაო იმისათვის, რომ შეფასდეს შერბილების პოტენციალი ქვეყანაში ტექნიკური, გარემოსა და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით;
- 3.2. ინიცირებული მონაწილეობითი პროცესი, რომლის მიზანია ანალიზი და დადგენა შესაბამისი და შესაძლებელი (პოტენციალი) ემისიების შემცირება და სამიზნე შეზღუდვები;
- 3.3. განვითარებული შერბილების ღონისძიებების პრიორიტეზაციის შესაბამისი კრიტერიუმები და შეფასებული შერბილების ქმედებები შეთანხმებული კრიტერიუმების მიმართ;
- 3.4. მესამე ეროვნული შეტყობინების მიერ შემოთავაზებული შერბილების ქმედებების ხელშეწყობა: შერბილების პოტენციალის შეფასება მთავარ სექტორებში;
- 3.5. ეროვნული შესაძლებლობების გაზრდა ნაციონალური სათბურის გაზების შერბილების პოტენციალის თვალსაზრისით.

### შედეგი 4

- 4.1. შერბილების ტექნოლოგიების, ფინანსური რესურსებისა და შესაძლებლობების საჭიროების შეფასება;
- 4.2. შერბილების პოტენციალის მიზნობრივ გამოკვლევას, რომელიც გულისხმობს ბუნებრივი გაზიდან განახლებად ენერჯიებზე გადასვლას და აჩვენებს მისგან მიღებულ ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სარგებლებს;
- 4.3. ინფორმაციის განახლება ორმხრივი და მრავალმხრივი დონორებიდან კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებების შედეგად მიღებულ ფინანსურ რესურსების, გადაცემული ტექნოლოგიების, შესაძლებლობების ამაღლებისა და ტექნიკური მხარდაჭერის შესახებ;
- 4.4. კლიმატის ცვლილებისათვის განაწილებული ეროვნული რესურსების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

### შედეგი 5

- 5.1. შიდა MRV სისტემის ჩამოყალიბების ვარიანტებისა და შესაძლებლობების ანალიზი;
- 5.2. შიდა MRV სისტემის ჩამოყალიბების (დაარსების) ეროვნული ინსტიტუციური და ლეგალური ჩარჩოების განვითარების პროცესის მხარდაჭერა;

### შედეგი 6

- 6.1. პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში გამოქვეყნდა და ჩაბარდა იმ სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელსაც შეიცავს დანართი III-ის 2/CP.17 გადაწყვეტილება.

### შედეგი 7

- 7.1 პროექტის ფინანსური და განვითარების ანგარიშის მომზადება და ჩაბარება ფინანსური აუდიტისათვის.

UNFCCC-სთვის მესამე ეროვნული შეტყობინების მომზადების პროცესმა ხელი შეუწყო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MENRP) ინსტიტუციურად გაძლიერებას, როგორც ნაციონალურ დონეზე კომპეტენტურ ინსტიტუტს UNFCCC-სთან ურთიერთობაში. MENRP იმოქმედებს როგორც განმახორციელებელი პარტნიორი და პროექტის კოორდინატორი.

ამის გარდა, ეროვნული ცოდნა, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ინტერესი და ცნობიერება ამაღლდა, განსაკუთრებით სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო და აკადემიურ სექტორებში.

ეროვნული შეტყობინების გამოცდილებაზე დაყრდნობით, გასაგებია, რომ ყველაზე ეფექტური გზა გაითვალისწინო კლიმატის ცვლილების საკითხები არის ის, რომ ჩართო ყველა ზემოთ ხსენებული დაინტერესებული მხარეები როგორც შერბილების ქმედებების ჩამოყალიბების, ისე მათი განხორციელების პროცესში სადისკუსიო და სამუშაო ჯგუფების საშუალებით. ეს ჩართულობა იქნება გარანტია ოპტიმალური სექტორული დაფარვის მიღწევისა და ქმედებების მნიშვნელობისა და მდგრადობის გაზრდისა. მნიშვნელოვანი დაინტერესებული პირის ფართო სპექტრის ჩართულობა (მონაწილეობა), იგულისხმება ბიზნესი, კერძო სექტორი და ფართო საზოგადოება, დაახლოებს ოფიციალურ, ბიზნეს და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს მიუხედავად ეროვნული, ეკონომიკური და გარემოს პრიორიტეტებისა და ამაღლებს მდგრადი განვითარების ცნობიერებას. სხვადასხვა სექტორების ინტეგრაცია გააძლიერებს სხვადასხვა დაინტერესებული პირისა და ინსტიტუტის ინსტიტუციურ და ტექნიკურ შესაძლებლობებს და ამავე დროს არ შეამცირებს ექსპერტებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ჯგუფებს სახელმწიფო ინსტიტუტებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ეროვნული ვალდებულებების შესრულებაზე კონვენციის მიმართ.

MENRP იმოქმედებს ლიდერისა და კოორდინატორის როლში იმისათვის, რომ განვითარდეს ისეთი ქმედებები, რომლებიც საჭიროა UNFCCC-ის მიმართ აღებული ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად და ასევე ფორმალური ურთიერთობის დასამყარებლად საერთაშორისო საზოგადოებასთან. სამინისტრომ კოორდინატორის როლში უნდა მოახდინოს დაინტერესებული მხარეების კოორდინაცია, კლიმატის ცვლილების ინტეგრაცია მიმდინარე ეროვნულ ქმედებებში იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს ის შედეგები, რაც აისახება და ეცნობება ეროვნული შეტყობინებითა და ორწლიანი განახლებული ანგარიშის საშუალებით.

მნიშვნელოვანი სექტორული სამინისტროები, როგორებიცაა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ენერჯეტიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, უნდა თამაშობდნენ ძირითად როლს სათბური გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის შემუშავებაში, რადგან ისინი არიან პასუხისმგებელი სექტორული ემისიების გამოთვლაზე IPCC-ის დირექტივების თანახმად და MENRP-ის კოორდინაციისა და ხელმძღვანელობის შესაბამისად.

MENRP-მ მიიღებს მონაწილეობას შესაძლებლობების ამაღლებაში სათბური გაზების შერბილების ქმედებების იდენტიფიცირებაში, მომზადებასა და განხორციელებაში რელევანტურ ეკონომიკურ სექტორებში. მნიშვნელოვანი სექტორული სამინისტროები და სტრუქტურები მონაწილეობას მიიღებენ შესაძლებლობების ამაღლებასა და ქმედებების გაძლიერებაში, რომელთა მიზანია შერბილების ქმედებების იდენტიფიცირება, მომზადება და განხორციელება ეკონომიკის შესაბამის სექტორებში. სხვა დაინტერესებული პირები, როგორებიცაა მეცნიერებათ აკადემიები, კერძო სექტორი, არასამთავრობო სექტორი და მნიშვნელოვანი სამინისტროები ჩართულნი იქნებიან ამ პროცესში ასევე, რომ მიიღონ მონაწილეობა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში.

გენდერული თვალსაზრისით პროექტი უზრუნველყოფს იმას, რომ ქალები მიიღებენ სარგებელს მოცემული პროექტიდან როგორც კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფი, რადგან პროექტი ეხმარება კლიმატის ცვლილების შერბილებას. ეს ასპექტი განხილულია 1.2 და 3.1-ის შედეგებში მოცემულ ანალიზში, როგორც მოწყვლადი ჯგუფების სპეციალური საჭიროება. ქალები განხილულნი არიან 1.2-ში, შერბილების პოტენციალის ეკონომიკური ასპექტების ანალიზი 3.1-ში. ამის გარდა, პროექტის ორივე ნაწილში (მომზადება და განხორციელება) გენდერული ბალანსი უზრუნველყოფილი იქნება.

### **ინსტიტუციური ჩარჩო**

პროექტი განხორციელდება NIM (NEX)-ის ფარგლებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად, როგორც განმახორციელებელი ერთეული/პასუხისმგებელი პარტნიორი. სამინისტრო იქნება განმახორციელებელი და ოპერატიული ერთეული, რომელიც კოორდინირებას გაუწევს და განახორციელებს ორწლიან განახლებული ანგარიშის მოსამზადებელ პროექტის ქმედებებს. იგივე როლი ენიჭება მას მესამე ეროვნული შეტყობინებაში.



მთავრობა ხელს შეუწყობს პროექტს მოწყობილობებითა და წინასწარი კონფერენციებითა და შეხვედრებით. ის ასევე უზრუნველყოფს ტექნიკურ დახმარებას სათბური გაზების ინვენტარიზაციის მომზადებას შესაბამისი სამინისტროს სტრუქტურებით.

UNDP საქართველო იმოქმედებს როგორც GEF-ის პროექტის განმახორციელებელი სააგენტო და დაეხმარება ქვეყანას მთელი პროგრამის განმახორციელებაში განახორციელოს ქმედებები და მონიტორინგსა და ზედამხედველობას გაუწევს პროექტს GEF-სათვის. UNDP-ის ოფისი მონიტორინგს გაუწევს და ხელს შეუწყობს პროექტის სტანდარტული პროცედურებით განხორციელებას.

### **დაგეგმილი ქმედებების მოკლე აღწერა**

სხვა მსგავს პროექტებთან კავშირი:

FBUR პროექტს უშუალო კავშირი აქვს ეროვნულ შეტყობინებასა და სათბური გაზების ეროვნულ ინვენტარიზაციებთან, რომელთაგანაც მესამე დასრულდება 2014 წელს. FBUR დაეყრდნობა უკანასკნელ შედეგებს მოცემული კვლევებისა. დამატებით, პროექტის მიზანი იქნება მონაცემების (საქმიანობის მონაცემების შეგროვება უფრო დეაგრეგირებული სახით), მეთოლოგიისა და მიდგომის (მაღალი დონის მეთოდის, მოდელის) და ემისიის ფაქტორების გამოყენების (უფრო დიფერენცირებული ან ქვეყნის სპეციფიკური ემისიის ფაქტორების დადგენა რამოდენიმე ესმისიის წყაროსათვის) გაუმჯობესება, ხარვეზების შევსება, საანალიზო მონაცემების მთავარი წყაროების განახლება უკანასკნელი ემისიებისა და/ან გაურკვევლობის გამოთვლებისათვის. FBUR გააგრძელებს ორ წელიწადში ერთხელ ემისიების გამოთვლის პროცესს დიდი დროის ინტერვალების გარეშე. FBUR პროექტი ალბათ ასევე გააუმჯობესებს QA/QC და სათბურის გაზების ეროვნული ინვენტარიზაციის პროცესის გაურკვევლობის შეფასებას და მეტიც, გააფართოებს სათბურის გაზების ინვენტარიზაციის სისტემის შექმნას ქვეყანაში.

GEF-ის მიერ დაფინანსებული საქართველოში ბიომასის გამოყენების მიმდინარე პროექტის შედეგები გამოყენებულ იქნება პროექტის ეკონომიკურ, შერბილებასთან დაკავშირებული ნაწილის განვითარებასთან. კიდევ ერთი ავსტრიის დახმარებით დაფინანსებული პროექტი ტყეების შესახებ ასევე ხელს შეუწყობს სათბურის გაზების შერბილებას და პროექტი გამოიყენებს მის გაანგარიშებებს ასევე.

ევრო კავშირის მიერ ინიცირებული (წამოწყებული) მერების შეთანხმების პროცესი მიმდინარეობს ბოლო 3 წელია საქართველოში (უკვე 8 ხელმოწერილი ქალაქით) და USAID-ის მხარდაჭერით EC-LEDS-ის მიმდინარე პროექტის ფარგლებში (თავისი კომპონენტით - მუნიციპალიტეტების დონეზე ენერჯი ეფექტურობის ხელშეწყობა). ეს პროცესი მოაწვდის პროექტს მონაცემებს შემცირებული სათბური გაზების შესახებ ხელმოწერილ ქალაქებში და ასევე ინფორმაციას სათბური გაზების შემცირების შესახებ მდგრადი ენერგეტიკული სამოქმედო გეგმების ფარგლებში, რომელიც მიღებულია ადგილობრივ დონეზე და ჩაბარებულია ევრო კავშირში.

USAID-LEDS სუფთა ენერგეტიკული პროგრამა ასევე მიზნად ისახავს ინსტიტუციური შესაძლებლობების შექმნას ადგილობრივ (მუნიციპალიტეტების) დონეზე. მოცემული პროგრამით შესაძლებლობების შექმნა და ცნობიერების ამაღლება კლიმატის ცვლილების შესახებ ადგილობრივ დონეზე ხელს შეუწყობს მონაცემების შეგროვების პროცესს ამ პროექტისათვის.

პროექტი უზრუნველყოფს მდგრადი კავშირების ჩამოყალიბებას მიმდინარე ურთიერთდაკავშირებულ პროექტებს შორის BUR-ის პროცესის სხვა საჭიროებებისათვის.

### **ეროვნული გარემოებები**

ინფორმაცია ეროვნულ გარემოებებზე მესამე ეროვნულ შეტყობინებაში (TNC-ში) იქნება განახლებული, სადაც მხედველობაში იქნება მიღებული ახალი, TNC-ის მომზადების შემდგომ, ყველა განხორციელებული პროექტი და კვლევა.

ეს შედეგი მოიცავს ქვეყნის განახლებულ დახასიათებას დემოგრაფიის, ბუნებრივი რესურსების, კლიმატისა და განათლების, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს, ასევე მაკროეკონომიკურ პარამეტრებს, დასაქმებას, შემოსავალს და მომსახურებას. ის ასევე მოიცავს სპეციფიკურ მახასიათებლებს სექტორებისა როგორებიცაა: წყლის რესურსები, ენერგეტიკა, ნარჩენები,

ტრანსპორტი. ის განსაკუთრებით გაანალიზებს იმას, თუ როგორ შეიძლება იმოქმედოს აღწერილმა ეროვნულმა გარემოებებმა ქვეყნის კლიმატის ცვლილების შერბილების შესაძლებლობებზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა იმ სექტორების ახალ ინფორმაციასა და მონაცემებს, რომელთაც ყველაზე დიდი წილი აქვთ სათბური გაზების ემისიებში.

ეროვნული განვითარების მიზნები, პრიორიტეტები და გარემოებები ასევე აღწერილი იქნება, მათ შორის კლიმატის ცვლილებით წარმოქმნილი უარყოფითი ეფექტების სპეციფიკურ საჭიროებები და საკითხები.

ასევე, აღწერილი იქნება ინფორმაცია ინსტიტუციური მოწყობისა და დაინტერესებული პირების ჩართულობის მექანიზმის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული შეტყობინების მომზადებისა და ორწლიანი განახლებული ანგარიშისათვის.

### **სათბური გაზების ეროვნული ინვენტარიზაცია**

UNFCCC-სთვის მომზადებული ეროვნული შეტყობინების ფარგლებში მომზადდა სათბურის გაზების ემისიების ინვენტარიზაცია წყაროებისა და ჩამჭერების მიხედვით სათბურის გაზების პირდაპირი და არაპირდაპირი ემისიებისთვის 1987-2011 წლებისათვის (INC მოიცავს 1987-1997 წლებს; SNC მოიცავს 1998-2006 წლებს; და TNC – 2007-2011 წლებს), სადაც გამოყენებულ იქნა შესწორებული 1996 წლის IPCC-ის ეროვნული სათბური გაზების ინვენტარიზაციის დირექტივები, IPCC-ის პრაქტიკული სახელმძღვანელო და ეროვნული სათბური გაზების ინვენტარიზაცია გაურკვევლობის მართვაში და IPCC-ის მიწის გამოყენების, მიწის გამოყენების ცვლილებისა და ტყეების პრაქტიკული სახელმძღვანელო (LULUCF).

BUR-ის პროექტის ფარგლებში დაგეგმილია მომზადდეს სათბური გაზების ინვენტარიზაცია 2012-2013 წლებისათვის და განახლდეს სათბური გაზების ინვენტარიზაცია 2010-2011 წლებისათვის.

ამ კომპონენტის ფარგლებში პროექტი ფოკუსირებას მოახდენს შემდეგ საკითხებზე:

- მონაცემების შეგროვება/ურთიერთქმედება მონაცემების მომწოდებლებთან 2012-2013 წლების ინვენტარიზაციის მომზადებისთვის;
- 2010-2011 წლების ინვენტარიზაციის განახლება;
- დაგეგმილი მონაცემების შეგროვებისა და მართვის სისტემის გადახედვა;
- სხვა ინსტიტუტებთან/სამინისტროებთან მონაცემების შეგროვების ინსტიტუციური მოწყობისა და მართვის გაძლიერება;
- გამოცდილების ჩართვა პროცესის მდგრადობის გასაუმჯობესებლად;
- ეროვნულ დონეზე მიღებული ემისიის ფაქტორების განახლება წლების მიხედვით (თუ საჭიროა);
- სათბური გაზების ინვენტარიზაციის ინსტიტუციონალიზაციისთვის მნიშვნელოვანი კანონებისა და რეგულაციების მომზადებისათვის საჭირო მასალების მომარაგება (უზრუნველყოფა);
- სამუშაო მასალებისა და შემაჯამებელი ცხრილების, გაურკვევლობის გამოთვლისა და მენეჯმენტის მომზადება;
- გრაფიკების, ცხრილებისა და შედეგების ანალიზის მომზადება;
- სათბურის გაზების ინვენტარიზაციის ანგარიშის გამოქვეყნება.

### **შერბილების ქმედებები**

შერბილების შეფასება ფოკუსირებას მოახდენს ნათლად განსაზღვრულ მიზნებსა და აღნიშნულის განხორციელებაზე. შედეგები ხელს შეუწყობენ ეროვნული შერბილების ქმედებებსა და დაგეგმვას, საშუალებას მიცემს ქვეყნის შერბილების ძალისხმევის აღიარებას, ასევე დააკავშირებს ეროვნულ შერბილების ქმედებას საერთაშორისო მხარდაჭერასთან.

FBUR-ის შერბილების ანალიზი გაითვალისწინებს TNC-ის რეკომენდაციებს.

შერბილების სექტორული შეფასება მოიცავს დაკავშირებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების ანალიზს, რომელიც ხელს უწყობს შერბილების ტექნოლოგიებისა და პრაქტიკების დანერგვას, ასევე შერბილების შესაძლებლობების მაკროეკონომიკურ გავლენის (მწვანე სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობების ჩათვლით) გავრცელებას (გამლიერებას).

შერბილების ქმედებების მაკროეკონომიკური ეფექტებია:

სარგებელი:

- ახალმა კაპიტალურმა ინვესტიციებმა შეიძლება ხელი შეუწყოს მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებას;
- შიდა სექტორების ნავთობპროდუქტებზე (იმპორტირებული) დამოკიდებულების შემცირება, რაც საქართველოს შემთხვევაში შეიძლება მთავარი წინააღმდეგობაა ეკონომიკური ზრდისა; დამატებით, ნავთობპროდუქტებზე დამოკიდებულების შემცირებას შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური გავლენა ქვეყნის საგარეო პოზიციაზე საგადახდო ბალანსის გაუჯობესების თვალსაზრისით;
- დაბალნახშირბადიან ტექნოლოგიებში ინოვაციებმა შეიძლება წახალისოს ზრდა;
- სათბური გაზების დაბალემისიანი ტექნოლოგიები სავარაუდოდ უფრო ეფექტიანია საქართველოში, ვინაიდან ინდუსტრიული ბაზა სუსტია ქვეყანაში. შედეგად, კლიმატის ცვლილების შერბილებას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი პოზიტიური ეფექტები მთლიან პროდუქტულობასა და შესაბამისად გრძელვადიან პერიოდში ეკონომიკურ ზრდაზე;
- „რესურსების მსვლელობის (resource course) შემცირებამ შეიძლება განავითაროს სხვა საშინაო ინდუსტრიები.

ხარჯი:

- გაზრდილმა სამეწარმეო დანახარჯებმა შეიძლება გაზარდოს ფასები, რაც შეამცირებს რეალურ ხელფასებს.

მიზნები:

- შერბილების ქმედებების ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედი ეფექტების შემცირება;
- მნიშვნელოვანი განსხვავებების აღმოფხვრა (თავის არიდება) ინდუსტრიის სექტორებს შორის შერბილების ქმედებების განხორციელების შემდეგ;
- გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის წახალისება.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესი და საერთაშორისო ვალდებულებები, რომელიც მიღებულია UNFCCC-გან როგორც განვითარების სახელმძღვანელო პრინციპები, ანალიზისას მხედველობაში უნდა იქნენ მიღებულნი FBUR-ის პროექტის ფარგლებში.

ძირითადი ნაბიჯები მოიცავს: ანალიტიკური სამუშაო, რომლის მიზანია იდენტიფიცირება/შემოწმება ქვეყნის შერბილების პოტენციალის ტექნიკური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით, სადაც გამოყენებული იქნება მონაწილეობითი მიდგომა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფო პრიორიტეტების ურთიერთდამოკიდებულება და რეკომენდირებული ღონისძიებების განხორციელება; შერბილების ღონისძიებების შესაბამისი კრიტერიუმების პრიორიტიზაცია; შერბილების ღონისძიებების შეფასება მიღებული კრიტერიუმების შესაბამისად; სათბურის გაზების შერბილების პოტენციალის ეროვნული შესაძლებლობების ანალიზი, ემისიების შეზღუდვა/შემცირების გამლიერების პოტენციური მიზნების ანალიზის ჩათვლით.

ამ პროექტით, განსაკუთრებით, ტექნიკური მხარდაჭერა განხორციელდება სასწავლო და ცნობიერების ამაღლების ქმედებების იმ სექტორებში, სადაც არსებობს შერბილების პოტენციალი UNFCCC-ის ჩარჩოში. მხარდაჭერა ასევე საჭირო გახდება სხვადასხვა სახის დაფინანსებისა და თანადაფინანსების იდენტიფიცირების პროცესისათვის.

## **ფინანსების, ტექნოლოგიების და შესაძლებლობების ამალგების საჭიროებები და მიღებული მხარდაჭერა**

ეს ქმედებები, როგორც ნაწილი FBUR-ის პროექტისა, მჭიდრო კავშირში უნდა იყოს პროცესთან, ხოლო TNC-ის შედეგები დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. კვლევა ფინანსურ, ტექნოლოგიურ და შესაძლებლობების საჭიროებებისა და ინტიტუტების შეზღუდვების შესახებ პასუხისმგებელია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებაზე ინფორმაციის შეგროვების, სინთეზითა და ანალიზის, ინდივიდების გამოკითხვით ან ჯგუფური განხილვებით, ადგილზე ვიზიტებით და ა.შ. საშუალებით.

მოწყობა შერბილების პოტენციალის მიზნობრივი განხილვა (case study), სადაც ნაჩვენები იქნება მიღებული ტექნოლოგიის ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებელი

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ფინანსურ რესურსებზე, ტექნოლოგიების გადაცემაზე, შესაძლებლობების ამალგებასა და ტექნიკურ მხარდაჭერაზე ინფორმაცია, მიღებული ორმხრივი და მრავალმხრივი დონორებისაგან, IFC-სგან და ა.შ., შეგროვილი იქნება. ასევე კლიმატის ცვლილებაზე განაწილებული ეროვნული რესურსების შესახებ ინფორმაცია შეგროვილი იქნება UNFCCC-რატიფიცირების შესაბამისად.

### **შიდა მონიტორინგი, ანგარიში და დამტკიცება**

MRV-ის საერთაშორისო ვალდებულებების კონტექსტში (კანკუნის გადაწყვეტილება და შერბილების ქმედებების საერთაშორისო MRV და დურბანის გადაწყვეტილების 1/CP.17 SBSTA-ის დირექტივები შიდა MRV-ზე) პირველმა BUR მხარი უნდა დაუჭიროს შიდა MRV-ის სისტემის ჩამოყალიბებას ეროვნული შესაბამისი შერბილების ქმედებებისათვის კონვენციის ფარგლებში განვითარებული დირექტივების შესაბამისად.

პროექტის ფარგლებში, დირექტივების შესაბამისად, მოხდება შეფასება სხვადასხვა ვარიანტებისა და შესაძლებლობების შიდა MRV-სათვის, სადაც მხედველობაში მიიღება ეროვნული გარემოებები და შესაძლებლობები, ასევე შერბილების ქმედებების განსხვავებული თავისებურებები. ამის გარდა, შიდა MRV-ის ჩამოყალიბებისათვის ეროვნული ინსტიტუციური და ლეგალური ჩარჩოების განვითარება იქნება ტექნიკურად მხარდაჭერილი.

### **პირველი ორწლიური განახლებული ანგარიშის შედგენა, გამოქვეყნება და ჩაბარება**

როდესაც 1-5 მოსალოდნელი რეზულტატები და მისი შესაბამისი შედეგები- დასრულდება პირველი ორწლიური ანგარიშის დოკუმენტი იქნება შედგენილი იმ დირექტივების შესაბამისად, რომელიც მოცემულია გადაწყვეტილება 2/PC.17-ის დამატება III-ში და წარედგინება UNFCCC-ს სამდივნოს მის მიერ შექმნილი მოთხოვნებისა და ფორმატის შესაბამისად.

### III. პროექტის შედეგების ჩარჩო:

ეს პროექტი დაეხმარება შემდეგ ქვეყნის პროგრამის შედეგის მიღწევაში, რომელიც განსაზღვრულია GPAP-ში ან CPD-ში: შედეგი 1.3. მნიშვნელოვანი ეროვნული სტრატეგიების, პოლიტიკისა და შესაძლებლობების ამაღლება (გაძლიერება) იმისათვის, რომ გადაიჭრას გარემოს დეგრადირების პრობლემები, წახალისდეს მწვანე ეკონომიკა და შემცირდეს კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობა.

**ქვეყნის პროგრამის შედეგების ინდიკატორები:**

**GEF-ისთვის მისაღები სტრატეგიული მიზანი და პროგრამა:** შესაძლებელი ქმედებები (Enabling Activities) (CCM-6): კონვენციის ფარგლებში შესაძლებელი ქმედებებისა და შესაძლებლობების ამაღლების მხარდაჭერა

**GEF-ისთვის მისაღები მოსალოდნელი შედეგები:** ადეკვატური რესურსების განაწილება კონვენციის ფარგლებში შესაძლებელი ქმედებების მხარდასაჭერად (შედეგი 6.1)

**GEF-ისთვის მისაღები შედეგების ინდიკატორები:** დასრულებული და ჩაბარებული ორწლიური განახლებული ანგარიში (BUR)

	ინდიკატორი	საბაზისო	მიზნები პროექტის დასასრული	შემოწმების წყაროები	რისკები და დაშვებები
<b>პროექტის მიზანი (ATLAS-ის შედეგის ექვივალენტი )</b>	BUR-ის დასრულება და წარდგინება UNFCCC-ში (კი/არა)	საქართველომ პირობა დადო, რომ მის პირველ BUR-ს UNFCCC-ში წარადგენს 2015 წლის დეკემბრისათვის	საქართველოს პირველი ორწლიური ანგარიშის წარდგინება UNFCCC-ის სამდივნოში.	UNFCCC-ის დოკუმენტები	BUR-ის მოსამზადებლად მოსალოდნელია ძლიერი სახელმწიფო მხარდაჭერა და სამინისტროებს შორის თანამშრომლობა
<b>შედეგი 1</b> ეროვნული ვითარების თავის დასრულება	BUR -ის ეროვნული ვითარების თავი გვაწვდის დღევანდელ დღემდე ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე სიტუაციაზე (კი/არა)	SNC-ის ეროვნული ვითარების თავი მოიცავს სიტუაციას 2012 წლამდე	ეროვნული ვითარების თავი მოიცავს ყველა კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რელევანტურ ასპექტს ქვეყანაში 2014 წლისათვის	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის დოკუმენტები</li> <li>სახელმწიფო ანგარიშები</li> <li>გარე ექსპერტის განხილვა მიერ შემოწმება</li> </ul>	ეს ნაწილი (თავი) უნდა მომზადდეს და განახლდეს რეგულარულად და უნდა მოიცავდეს ქვეყნის კლიმატის ცვლილების, ეკონომიკის, დემოგრაფიის, ინდუსტრიის უკანასკნელ მდგომარეობას.
<b>შედეგი 2</b> GHG ინვენტარიზაციის თავის დასრულება	<ul style="list-style-type: none"> <li>GHG-ის ინვენტარიზაცია გამოთვლილია 2006 წლის IPCC-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით (კი/არა)</li> <li>GHG-ის ინვენტარიზაცია უნდა მოიცავდეს 2012-2013 წლებს კი/არა)</li> </ul>	UNFCCC-ში წარდგენილი საქართველოს GHG-ს ინვენტარიზაცია მოიცავს 2012 წლამდე პერიოდს	GHG-ს ინვენტარიზაცია რომელიც იყენებს 2006 წლის IPCC სახელმძღვანელოებს, მოიცავს 2012-2013 წლებს	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის დოკუმენტები</li> <li>სახელმწიფო ანგარიშები</li> <li>გარე ექსპერტის მიერ შემოწმება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>საწარმოები მზად იქნებიან და შეეძლებათ გაუზიარონ პროექტის გუნდს მონაცემები მათ ემისიებზე.</li> <li>სახელმწიფო მმართველობაში არსებულ მნიშვნელოვან ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომლებიც სათბურის გაზებს (GHG) აფრქვევენ, კიდევ უფრო გაღრმავდება.</li> </ul>

<p><b>შედეგი 3</b> კლიმატის ცვლილების შერბილების თავის დასრულება</p>	<p>BUR-ის კლიმატის ცვლილების შერბილების თავი (კი/არა)</p>	<p>შერბილების სტრატეგია ამჟამად მზადდება TNC ფარგლებში</p>	<p>შერბილების თავის, რომელიც წარმოადგენს დღევანდელ დღემდე ქვეყნის შერბილების პოტენციალს, მომზადება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის დოკუმენტები და ტექნიკური ანგარიშები</li> <li>ექსპერტის განხილვა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის რისკების მეტი ინტეგრაცია სახელმწიფო პოლიტიკასა და მოსალოდნელ გეგმებში</li> </ul>
<p><b>შედეგი 4</b> ფინანსების, ტექნოლოგიებისა და შესაძლებლობების ამაღლების საჭიროების ანალიზი</p>	<p>სექტორების რაოდენობა, რომელსაც მოიცავს ტექნოლოგიების საჭიროების შეფასება</p>	<p>UNEP TNA დასრულდა 2012 წლის სექტემბერში</p>	<p>ტექნოლოგიური და შესაძლებლობების ამაღლების საჭიროებები გაანალიზებულია და განახლებულია</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის დოკუმენტები და ტექნიკური ანგარიშები</li> <li>ექსპერტის განხილვა</li> </ul>	<p>ტექნოლოგიებისა და შესაძლებლობების ამაღლების საჭიროებები უნდა დაეფუძნოს 2013 წლის UNEP/MENR-ის ანგარიშს</p>
<p><b>შედეგი 5</b> მზადაა შიდა MRV-ის სისტემა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>შიდა MRV-ის სისტემა მომზადებულია და ჩაბარებულია სამინისტროში (კი/არა)</li> </ul>	<p>შიდა MRV-ის სისტემა არ არის (გამოტოვებულია)</p>	<p>შიდა MRV სისტემა მომზადებულია საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით</p>	<p>UNFCCC-ის დოკუმენტები</p>	<p>შიდა MRV სისტემის ინტეგრაცია უნდა მოხდეს ეროვნულ სტატისტიკური მენეჯმენტის პორტფელში, რომელსაც შეიძლება დრო დასჭირდეს</p>
<p><b>შედეგი 6</b> BUR-ის გამოქვეყნება და UNFCCC-ის სამდივნოში წარდგენა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>BUR გადათარგმნილია ინგლისურ-რად UNFCCC-ში ოფიციალურად წარდგენისათვის (კი/არა)</li> </ul>		<ul style="list-style-type: none"> <li>BUR-ის ყველა მოთხოვნილი თავი მომზადებულია, განხილულია, შესწორებულია და ჩაბარებულია</li> <li>BUR გამოქვეყნებულია და გავრცელებულია: დაბეჭდილი და ელექტრონული ვერსიები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის დოკუმენტები და ტექნიკური ანგარიშები</li> <li>ექსპერტის განხილვა</li> </ul>	<p>BUR-ის ტექნიკური ხარისხი უნდა იყოს უზრუნველყოფილი ზუსტი თარგმნით</p>
<p><b>შედეგი 7</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის ფინანსური და განვითარების ანგარიშების წარდგენა ფინანსური აუდიტისათვის</li> </ul>		<ul style="list-style-type: none"> <li></li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li></li> </ul>	

#### IV. მთლიანი ბიუჯეტი და სამუშაო გეგმა

მინიჭებული ID:	00081344	პროექტის ID:	00090653
მინიჭებული სათაური:	საქართველოს პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში UNFCCC-სათვის		
ბიზნეს ერთეული:	GEO10		
პროექტის სახელწოდება:	საქართველოს პირველი ორწლიური განახლებული ანგარიში UNFCCC-სათვის		
PIMS #:	5386		
განმახორციელებელი პარტნიორი (განმახორციელებელი სააგენტო)	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (MENRP)		

GEF-ის შედეგი / "ატლასის" ქმედება	განმახორციელებელი სააგენტო	ფონდის ID	დონორი	Atlas-ის ბიუჯეტური ანგარიშის კოდი	ATLAS-ის ბიუჯეტის აღწერა	2014 (USD)	2015 (USD)	სულ (USD)	იხილეთ ბიუჯეტის შენიშვნა:
შედეგი 1: ეროვნული ვითარების თავის მომზადება	MENRP	62000	GEF	71300	ადგილობრივი კონსულტანტები	0	9,500	9,500	კლიმატის ცვლილების პოლიტიკის ადგილობრივი კონსულტანტი 1800@5 თვეები
				74500	სხვადასხვა ხარჯები	0	500	500	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები
				<b>GEF-შუალედური ჯამი</b>		<b>0</b>	<b>10,000</b>	<b>10,000</b>	
				<b>მთლიანი შედეგი 1</b>		<b>0</b>	<b>10,000</b>	<b>10,000</b>	
შედეგი 2: GHG ინვენტარიზაციის თავის დასრულება	MENRP	62000	GEF	71300	ადგილობრივი კონსულტანტები	30,000	67,000	97,000	GHG ინვენტარიზაციის კონსულტანტების, იურიდიული კონსულტანტისა და მონაცემების ბაზების მართვის კონსულტანტის საკონსულტაციო გადასახადი
				72100	საკონტრაქტო მომსახურებები	8,000	6,000	14,000	GHG ინვენტარიზაციის პროცესის მხარდამჭერი კომპანიების პროფესიონალური მომსახურების გადასახადი
				71600	მოგზაურობა	1,000	6,000	7,000	საზღვრებს გარეთ შესაძლებლობების ამაღლების სასწავლო ვარჯიში GHG ინვენტარიზაციის გუნდისათვის
				74500	სხვადასხვა ხარჯები	700	1,300	2,000	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები
				<b>GEF – შუალედური ჯამი</b>		<b>39,700</b>	<b>80,300</b>	<b>120,000</b>	
<b>მთლიანი შედეგი 2</b>		<b>39,700</b>	<b>80,300</b>	<b>120,000</b>					
შედეგი 3: სათბურის გაზების ინვენტარიზაციის თავი დასრულებულია	MENRP	62000	GEF	71200	საერთაშორისო კონსულტანტი	0	14,000	14,000	კლიმატის ცვლილების შერბილების საერთაშორისო კონსულტანტი
				71300	ადგილობრივი კონსულტანტი	28,000	46,000	74,000	კლიმატის ცვლილების შერბილების ადგილობრივი კონსულტანტი
				72100	საკონტრაქტო მომსახურება	2,000	3,000	5,000	ადგილობრივი კომპანიები შერბილების ანალიზის დასახმარებლად
				74500	სხვადასხვა ხარჯები	700	1,300	2,000	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები

GEF-ის შედეგი /“ატლასის” ქმედება	განმახორციელებელი სააგენტო	ფონდის ID	დონორი	Atlas-ის ბიუჯეტური ანგარიშის კოდი	ATLAS-ის ბიუჯეტის აღწერა	2014 (USD)	2015 (USD)	სულ (USD)	იხილეთ ბიუჯეტის შენიშვნა:
						30,700	64,300	95,000	
					GEF – შუალედური ჯამი	30,700	64,300	95,000	
					მთლიანი შედეგი 3	30,700	64,300	95,000	
შედეგი 4: ფინანსური, ტექნოლოგიური და შესაძლებლობების ამაღლებს და საჭიროება და მიღებული მხარდაჭერა	MENRP	62000	GEF	71300	ადგილობრივი კონსულტანტები	9,000	20,000	29,000	ადგილობრივი კონსულტანტი შესაძლებლობების შეფასების დასახმარებლად
				72100	საკონტრაქტო მომსახურება	0	4,000	4,000	ადგილობრივი კომპანიები რეპორტირება/ანგარიშგება დასახმარებლად
				74500	სხვადასხვა ხარჯები	700	1,300	2,000	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები
					GEF – შუალედური ჯამი	9,700	25,300	35,000	
					მთლიანი შედეგი 4	9,700	25,300	35,000	
შედეგი 5: შიდა მონიტორინგი, შეტყობინება/ ანგარიშგება და შემოწმება	MENRP	62000	GEF	71200	საერთაშორისო კონსულტანტები	0	16,000	16,000	MRV სისტემის ჩამოყალიბების დამხმარე საერთაშორისო კონსულტანტები
				71300	ადგილობრივი კონსულტანტები	0	12,000	12,000	MRB-ის დამხმარე ადგილობრივი კონსულტანტები
				72100	საკონტრაქტო მომსახურება	3,000	3,000	6,000	ანგარიშგებაში დამხმარე ადგილობრივი კომპანიები
				71600	მოგზაურობა	0	5,000	5,000	საერთაშორისო მოგზაურობა და DSA MRV-ის საერთაშორისო გამოცდილების შესასწავლად
				74500	სხვადასხვა ხარჯები	300	700	1,000	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები
					GEF – შუალედური ჯამი	3,300	36,700	40,000	
					მთლიანი შედეგი 5	3,300	36,700	40,000	
შედეგი 6: პირველი ორწლიური განახლებული ანგარიშის შედეგა, გამოქვეყნება და წარდგენა	MENRP	62000	GEF	74200	აუდიო ვიზუალური და ბეჭვდის წარმოების ხარჯები	0	6,000	6,000	პროექტის გამოქვეყნება, თარგმნა და განაწილება
				71300	ადგილობრივი კონსულტანტები	0	3,700	3,700	ადგილობრივი კონსულტანტები ანგარიშის რედაქტირებასა და კომპილაციაში დასახმარებლად
				74500	სხვადასხვა ხარჯები	0	300	300	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები
					GEF – შუალედური ჯამი	0	10,000	10,000	
					მთლიანი შედეგი 6	0	10,000	10,000	
შედეგი 7: მონიტორინგი და შეფასება	MENRP	62000	GEF	71300	ადგილობრივი კონსულტანტები	0	9,700	9,700	მონიტორინგსა და შეფასებაში დამხმარე ადგილობრივი კონსულტანტები
				74500	სხვადასხვა ხარჯები	0	300	300	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები
					GEF – შუალედური ჯამი	0	10,000	10,000	
					მთლიანი შედეგი 7	0	10,000	10,000	
პროექტის მართვის	MENRP	62000	GEF	71400	საკონტრაქტო მომსახურება-ინდივიდუალური	8,000	20,000	28,000	პროექტის მართვის ხარჯები
				72200	მოწყობილობა	2,000	0	2,000	ოფისის მოწყობილობა



GEF-ის შედეგი /“ატლასის” ქმედება	განმახორციელებელი სააგენტო	ფონდის ID	დონორი	Atlas-ის ბიუჯეტური ანგარიშის კოდი	ATLAS-ის ბიუჯეტის აღწერა	2014 (USD)	2015 (USD)	სულ (USD)	იხილეთ ბიუჯეტის შენიშვნა:
ერთეული				72500	მასალები	300	700	1,000	მასალები
				74500	სხვადასხვა ხარჯები	300	700	1,000	საბანკო გადასახადი, სოციალური დაზღვევა, ტრანსპორტირება და საკომუნიკაციო ხარჯები
					GEF – შუალედური ჯამი	10,600	21,400	32,000	
					მთლიანი მართვა	10,600	21,400	32,000	
				მთლიანი პროექტი		94,000	258,000	352,000	

დაფინანსების შეჯამება:

	წელი 1	წელი 2	სულ
<b>GEF</b>	\$94,000	\$258,000	\$352,000
<b>MENR (ნატურით)</b>	\$21,000	\$43,000	\$64,000\$
სულ	\$115,000	\$301,000	\$416,000

## V. მენეჯმენტის სისტემა

**ეროვნული განხორციელება (NIM).** პროექტი ეროვნულ დონეზე განხორციელდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ (MENRP). UNDP-ის მოცემული ქვეყნის ოფისი უზრუნველყოფს მხარდაჭერას პროექტის განხორციელებაში. საკუთარი შესაძლებლობებით, როგორც განმახორციელებელი მხარე (პარტნიორი) MENRP არის პასუხისმგებელი მთლიანი პროექტის მართვაზე. გარდა ამისა, MENRP იქნება პასუხისმგებელი ხელი შეუწყოს პროექტის ყველა განსაზღვრულ ქმედებებს, როგორცაა საერთაშორისო საკონსულტაციო მისიები, შესაბამისი პერსონალის სწავლება, პროექტის ადგილმდებარეობის შესაბამისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რელევანტური მონაცემები, ანგარიშები, სააგენტოები და უფლებამოსილი ორგანოები. UNDP უზრუნველყოფს კონტრაქტით გათვალისწინებულ შესაძენ მასალებსა და მომსახურებას UNDP-ის შესაბამის წესებისა და რეგულაციების, პოლიტიკისა და პროცედურების, ადამიანური რესურსების მართვისა და RBM-ის სახელმძღვანელოების მიხედვით. აღნიშნულ მომსახურებებზე გაწეული პროექტის პირდაპირი ხარჯები არ დაეკისრება GEF-ის პროექტის ბიუჯეტს.

**ბ. პროექტის მართვის მოწყობა.** პროექტს ექნება მართვის სტრუქტურა UNDP-ის შედეგზე დაფუძნებული მენეჯმენტის ახალი წესების შესაბამისად (იხ. სურათი ქვემოთ: პროექტის მართვის მოწყობა).


**I. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი.** პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი იქნება გადაწყვეტილების მიმღები ორგანო პროექტისათვის, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას პროექტის მენეჯერს და დაამტკიცებს პროექტის რევიზიებს. ის იქნება პასუხისმგებელი პროექტის რისკების, შედეგების, შეძენილი გამოცდილების ჟურნალების განხილვასა და განახლებაზე და პროექტის მონიტორინგისა და საკომუნიკაციო გეგმაზე. პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი შედგება 3 წევრისაგან:

- აღმასრულებელი (განმახორციელებელი პარტნიორი) მოიწვევს პროექტის აღმასრულებელ ჯგუფს. ამ პოზიციას დაიკავებს MENRP-ის წარმომადგენელი;
- მთავარი მომწოდებელი. ამ პოზიციას დაიკავებს UNDP DRR-ის ან UNDP-ს დანიშნული განვითარების მრჩეველი;
- მთავარი ბენეფიციარი (beneficiary). ამ პოზიციას დაიკავებს MENRP-ის წარმომადგენელი.

**II. პროექტის მართვა.** პროექტის მენეჯერი შერჩეული იქნება კონკურსის პრინციპით. მას დაევალება პროექტის ქმედებების ყოველდღიური მართვა, ასევე ფინანსური და ადმინისტრაციული ანგარიშგება. პროექტის მენეჯერი პასუხისმგებელი იქნება პროექტის განხორციელებაზე და იგი იხელმძღვანელებს წლიური და კვარტალური სამუშაო გრაფიკითა და RBM-ის სტანდარტებით.

**III. პროექტის გარანტიები.** UNDP დანიშნავს პროგრამის მრჩეველს იმისათვის, რომ მან დამოუკიდებლად განახორციელოს პროექტის ზედამხედველობა და მონიტორინგი, რათა მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ პროექტის ქმედებები მართვადია და ეტაპები (ფაზები) შესრულებულია.

**IV. პროექტის მხარდაჭერა.** UNDP უზრუნველყოფს პროექტის ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას შესყიდვების, კონტრაქტების, გადახდებისა და გასვლების მოწყობების ჩათვლით.



## VI. მონიტორინგის გეგმა და შეფასება

პროექტის მონიტორინგი და შეფასება მოხდება UNDP-ის საპროგრამო პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად.

### პროექტის დასაწყისი

პროექტის საწყისი შეხვედრა გაიმართება პროექტის დაწყებიდან 2 თვის განმავლობაში მათთვის, ვისაც აქვთ საკუთარი (დამტკიცებული) როლი პროექტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში, UNDP-ის ოფისი და სხვა მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარეები.

### კვარტალურად

პროექტის მენეჯერმა უნდა წარმოადგინოს პროექტის მიმდინარეობის ანგარიში კვარტალური ანგარიშების სახით. პროექტის მიმდინარეობის (პროგრესის) მონიტორინგი UNDP-ის გაფართოებული შედეგებზე ორიენტირებული მენეჯმენტის პლატფორმით.

### ორწლიურად

- ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება გამოკითხვა, სადაც იდენტიფიცირებული იქნება პროგრესისა და შეფერხების ადგილები, ასევე ტექნიკური მხარდაჭერის საჭიროებები.

### პროექტის დასასრული

ბოლო 3 თვის განმავლობაში პროექტის მენეჯერი პროექტის გუნდთან ერთად მოამზადებს პროექტის საბოლოო ანგარიშს, რომელიც წარედგინება და გადაიხედება ეროვნული კოორდინაციის ინსტიტუტისა (OPP) და UNDP მიერ.

პროექტის აუდიტი განხორციელდება UNDP-ის ფინანსური რეგულაციებისა და წესების და აუდიტის განცხადების პოლიტიკის შესაბამისად.

## სწავლა და ცოდნის გაზიარება

პროექტის შედეგები გავრცელდება პროექტის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, არსებული ინფორმაციის გაცვლის ქსელებისა და ფორუმების ჩარჩოებში.

პროექტი მოახდენს იდენტიფიცირებასა და მიიღებს მონაწილეობას, რამდენადაც რელევანტურია და შესაბამისია, სამეცნიერო, პოლიტიკაზე დაფუძნებულ და/ან სხვა ქსელებში, რომელიც შეიძლება იყოს სასარგებლო პროექტის განხორციელებისათვის „ნასწავლი გაკვეთილების“ სახით. პროექტი მოახდენს იდენტიფიცირებას, გაანალიზებს და გააზიარებს მიღებულ გამოცდილებას, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს სხვა მსგავსი პროექტების დიზაინისა და განხორციელებისათვის მომავალში.

საბოლოოდ, ინფორმაციის ნაკადების ორმხრივი გაცვლა იქნება მოცემულ პროექტსა და სხვა მსგავსი პროფილის (ფოკუსის) მქონე პროექტებს შორის.

## კომუნიკაციები და გამჭვირვალობის მოთხოვნები:

სრული შესაბამისობა UNDP-ის დირექტივებთან სავალდებულოა. ეს შეიძლება შეფასდეს ამ ბმულზე: <http://intra.undp.org/coa/branding.shtml>, და UNDP-ის ლოგოს გამოყენების სპეციალური სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://intra.undp.org/branding/useOfLogo.html>. სხვა საკითხებთან ერთად ეს სახელმძღვანელოები აღწერენ როდის და როგორ უნდა იქნეს გამოყენებულნი UNDP-ის ლოგოები, ასევე თუ როგორ იქნეს გამოყენებული დონორების ლოგოები UNDP-ის პროექტებისათვის. ეჭვების აღმოსაფხვრელად, როდესაც საჭიროა ლოგოს გამოყენება, UNDP-ის ლოგო გამოიყენება GEF-ის ლოგოსთან ერთად. GEF-ის ლოგო ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: [http://www.thegef.org/gef/GEF\\_logo](http://www.thegef.org/gef/GEF_logo). UNDP-ის ლოგო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://intra.undp.org/coa/branding.shtml>.

სრული შესაბამისობა GEF-ის კომუნიკაციისა და გამჭვირვალობის დირექტივებთან აუცილებელია (მოთხოვნილია) („GEF-ის დირექტივები). GEF-ის დირექტივები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: [http://www.thegef.org/gef/sites/thegef.org/files/documents/C.40.08\\_Branding\\_the\\_GEF%20final\\_0.pdf](http://www.thegef.org/gef/sites/thegef.org/files/documents/C.40.08_Branding_the_GEF%20final_0.pdf).

სხვა საკითხებთან ერთად GEF-ის დირექტივები აღწერენ სად და როგორ არის საჭირო GEF-ის ლოგოს გამოყენება პროექტის პუბლიკაციებში, მანქანა-დანადგარებში, მომარაგებასა და სხვა პროექტის მოწყობილობებში. GEF-ის დირექტივები ასევე აღწერს სხვა GEF-ის სარეკლამო მოთხოვნებს დაკავშირებულს პრეს რელიზებთან (გამოშვებები), პრესკონფერენციებთან, პრესვიზიტებთან, სამთავრობო ოფიციალური პირების ვიზიტებთან, წარმოებებთან და სხვა სარეკლამო ქმედებებთან.

სადაც სხვა სააგენტოებმა და პროექტის პარტნიორებმა მხარდაჭერა უზრუნველყვეს თანადაფინანსების სახით მათი სარეკლამო პოლიტიკა და მოთხოვნები მსგავსად უნდა განხორციელდეს.

## M&E სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი

M&E საქმიანობის ტიპი	პასუხისმგებელი მხარეები	ბიუჯეტი US\$ <i>პროექტის გუნდის პერსონალის დროის გამოკლებით</i>	დრო
სამუშაო სემინარის დასაწყისი და ანგარიში	<ul style="list-style-type: none"> <li>პროექტის მენეჯერი</li> <li>UNDP CO, UNDP GEF</li> </ul>	საორიენტაციო ხარჯი: \$4,000	პროექტის დაწყებიდან პირველი ორი თვის განმავლობაში
პროექტის შედეგების შემოწმების საშუალებების გაზომვა	<ul style="list-style-type: none"> <li>UNDP GEF RTA/პროექტის მენეჯერი ზედამხედველობას გაუწევს სპეციალური კვლევარებისა და ინსტიტუტების დაქირავებას და</li> </ul>		პროექტის დასაწყისი, შუა ნაწილი და პროექტის დასასრული (შეფასების ციკლის განმავლობაში) და წლიურად, როცა

M&E საქმიანობის ტიპი	პასუხისმგებელი მხარეები	ბიუჯეტი US\$ <i>პროექტის გუნდის პერსონალის დროის გამოკლებით</i>	დრო
	პასუხისმგებლობის დელეგირებას მოახდენს (გაინაწილებს) რელევანტურ/შესაბამის გუნდის წევრებთან		მოთხოვნილი იქნება
პროექტის განვითარების (შედეგისა და განხორციელების) შემოწმების საშუალებების გაზომვა	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პროექტის მენეჯერის ზედამხედველობა</li> <li>▪ პროექტის გუნდი</li> </ul>		სტატუსის გამოკითხვასა და წლიური სამუშაო გეგმების განსაზღვრამდე
პერიოდული სტატუსი /განვითარების ანგარიშები	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პროექტის მენეჯერი და გუნდი</li> </ul>	არცერთი	კვარტალური
პროექტის საბოლოო ანგარიში	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ პროექტის მენეჯერი და გუნდი</li> <li>▪ UNDP CO</li> <li>▪ ადგილობრივი კონსულტანტი</li> </ul>	0	სულ მცირე 3 თვით ადრე პროექტის დასრულებამდე
ვიზიტი (მონახულება) ადგილებზე	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ UNDP CO</li> <li>▪ UNDP RCU (როგორც შესაბამისია)</li> <li>▪ მთავრობის წარმომადგენლები</li> </ul>	GEF მხარდამჭერი პროექტები, გადახდილი IA-ის გადასახდელებიდან და ოპერაციული ბიუჯეტი	წლიური

---

## VII. იურიდიული კონტექსტი

დოკუმენტი და CPAP, რომლებსაც ხელს მოაწერენ მთავრობა და UNDP, რაც გათვალისწინებულია, მითითების საფუძველზე, ერთად წარმოადგენს პროექტის დოკუმენტს, როგორც მითითებულია „სტანდარტული საბაზისო დახმარების შეთანხმებაში“ (SBAA) და ყველა დებულებები შეეხება ამ დოკუმენტს.

„სტანდარტული საბაზისო დახმარების შეთანხმების“ მესამე მუხლის შესაბამისად განმახორციელებელი პარტნიორის პერსონალისა და საკუთრების და განმახორციელებელი პარტნიორის (მხარის) მეურვეობის ქვეშ მყოფი UNDP-ის საკუთრების უსაფრთხოებასა და დაცვაზე პასუხისმგებლობას იღებს განმახორციელებელი პარტნიორი (მხარე).

განმახორციელებელი მხარე:

ა) შექმნას შესაბამისი დაცვის გეგმა და მხარი დაუჭიროს (შეინარსჩუნოს) უსაფრთხოების გეგმას იმ ქვეყნის უსაფრთხოების სიტუაციის გათვალისწინებით, სადაც პროექტი მიმდინარეობს;

ბ) დაუშვას ყველა რისკი და ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია განმახორციელებელი პარტნიორის უსაფრთხოებასა და უსაფრთხოების გეგმის სრულ განხორციელებასთან.

UNDP იტოვებს უფლებას, რომ შეამოწმოს ასეთი გეგმის არსებობა და შესთავაზოს ცვლილებები გეგმაში, თუ არსებობს ამის საჭიროება. შესაბამისი უსაფრთხოების გეგმის (ისეთი როგორცაა მოთხოვნილი ამ დოკუმენტში) წარუმატებელი მხარდაჭერა და განხორციელება ჩაითვლება როგორც ამ შეთანხმების დარღვევა.

განმახორციელებელი პარტნიორი თანხმდება, რომ განახორციელებს ყველა საჭირო ძალისხმევას, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ UNDP-ის მიერ პროექტის დოკუმენტის შესაბამისად გამოყოფილი არცერთი ფინანსური რესურსი არ უზრუნველყოფს ტერორიზმთან დაკავშირებულ ინდივიდებსა და ორგანიზაციებს მხარდაჭერით და UNDP-დან მიღებული თანხები არ მოხვდება უსაფრთხოების საკონსულტოს კომიტეტის (რომელიც 1267-ე რეზოლუციის შესაბამისადაა შექმნილი 1999 წელს) მიერ მხარდაჭერილ (შექმნილ) სიაში. აღნიშნული სია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: <http://www.un.org/Docs/sc/committees/1267/1267ListEng.htm>. ეს პირობა უნდა იქნეს ჩადებული ყველა პროექტის დოკუმენტით გათვალისწინებულ ქვე-კონტრაქტსა და ქვე-შეთანხმებაში.

## VIII. დანართები

### პროექტის ძირითადი პერსონალის სამუშაო აღწერილობები

#### 1/ პროექტის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა

პროექტის მენეჯერი (PM) პასუხისმგებელია ყოველდღიურ მართვაზე, კოორდინაციისა და პროექტის განხორციელების ზედამხედველობაზე. კერძოდ, მისი პასუხისმგებლობებია (მაგრამ შეზღუდულია არაა):

- პროექტის მნიშვნელოვანი ქმედებების (რომლებიც პროექტის სამუშაო გეგმაშია მოცემული) დროულად განხორციელების ზედამხედველობა და უზრუნველყოფა;
- პროექტის დეტალური სამუშაო გეგმის მომზადება და ქვეკონტრაქტორების სამუშაო აღწერილობის შემუშავება
- მთლიანი BUR-ის და შესაბამისი სექციების ანგარიშის შედგენა გუნდის ლიდერებთან კონსულტაციების გზით. ;
- სამუშაოს მოცულობის, ToR-ებისა და სხვა შესყიდვის დოკუმენტაციის (რომელიც იდენტიფიცირებას მოახდენს და დაეხმარება რელევანტური ექსპერტებისა და კონსულტანტების შერჩევას PSC-სა და UNDP-თან კონსულტაციებში) მომზადება/შესრულება;
- ეროვნული ვითარებისა და ინსტიტუციური მოწყობის ჯგუფების ქმედებების კოორდინაცია და ზედამხედველობის განხორციელება იმისათვის, რომ მოხდეს რელევანტური თავის (ნაწილის) განახლება;
- სხვადასხვა თემატური ჯგუფებისათვის (ენერგეტიკა ტრანსპორტის ჩათვლით, ინდუსტრია, ნარჩენები, სოფლის მეურნეობა) GHG ინვენტარიზაციის ჯგუფის ქმედებების კოორდინაცია და ზედამხედველობა იმ მიზნით, რომ მომზადდეს 2012-2013 წლების ინვენტარიზაცია და მოხდეს 2010-2011 წლების ინვენტარიზაციის განახლება;
- შერბილების ჯგუფის ქმედებების კოორდინაცია და ზედამხედველობა იმ მიზნით, რომ მომზადდეს შერბილების ქმედებები და მათი ეფექტები ასოცირებული მეთოდოლოგიებისა და დაშვებების და ასევე განხორციელების პროგრესის ჩათვლით;
- პროექტის შეზღუდვებთან და ხარვეზებთან (gaps) დაკავშირებული ქმედებების კოორდინირება, ფინანსური, ტექნოლოგიური და შესაძლებლობების ამაღლებასთან დაკავშირებული საჭიროებების შეფასება და რეკომენდაციის გაწევა ამ საჭიროებებთან დაკავშირებით;
- შიდა „გაზომვა, აღრიცხვა და კონტროლი“-ის (MRV) ჩამოყალიბების ხელშემწყობი პროექტის ქმედებების კოორდინაცია და შიდა MRV-ის სისტემის მომზადება;
- ინფორმაციის ცხრილების ფორმატში შეგროვება-კონსოლიდაციის უზრუნველყოფა და პირველი ორწლიური განახლებული ანგარიშის გამოქვეყნება;
- იდენტიფიცირება და სინერჯის უზრუნველყოფა BUR-სა და TNC-ს, Clima East-სა და სხვა რელევანტური მიმდინარე/ახალ პროექტებს შორის;
- პროექტის დამხმარე პერსონალის, ეროვნული კონსულტანტების ზედამხედველობა, რომლებიც შერჩეულ იქნენ ტექნიკური დახმარების უზრუნველსაყოფად;
- კავშირის მხარდაჭერა სხვა მნიშვნელოვან სამინისტროებთან, ნაციონალურ და საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან, NGO-ებთან და სხვა რელევანტურ ინსტიტუტებთან იმისათვის, რომ ჩართონ მათი პერსონალი პროექტის ქმედებებში და მოგროვდეს და გავრცელდეს პროექტისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია;
- ყველა რელევანტურ დაინტერესებულ მხარესთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი ჩართულობა BUR-ის განვითარების პროცესში;

- პროექტის განმავლობაში საჭირო სემინარებისა და სასწავლო ვარჯიშების (trainings) ორგანიზება;
- პროექტის შედეგების შეჯამება, პროექტის პერიოდული განვითარების (პროგრესის) ანგარიშის მომზადება;
- ხარჯების კონტროლი და სხვა შემთხვევაში ადეკვატური პროექტისათვისთვის გამოყოფილი რესურსების მართვის უზრუნველყოფა;
- BUR-ის განვითარების პროცესის უზრუნველყოფა UNFCCC-ის სახელმძღვანელოს შესაბამისად და UNFCCC-ის პროცესის ანგარიშის გამუჯობების ხელშეწყობა;

#### *კვალიფიკაცია და გამოცდილება*

- მაგისტრის ხარისხი, სასურველია გარემოს ან სხვა მასთან დაკავშირებულ დისციპლინაში;
- საქართველოს გარემოს/განვითარების საკითხების და ასევე გამოსაკვლევი თემატური საკითხების კარგი ცოდნა;
- სულ მცირე 6-დან 8 წლამდე სამუშაო გამოცდილება პროექტში;
- ბრწყინვალე საკომუნიკაციო (წერიითი და ზეპირი) უნარები;
- პროექტის მართვის დემონსტრირებული გამოცდილება;
- შედეგებზე ორიენტირებული მოქმედების გეგმების ერთად ჩამოყალიბების (შექმნის/განხილვის) ექსპერტული ცოდნა;
- დემონსტრირებული ცოდნა სახემწიფოსთან, დონორებთან და გაეროს სისტემასთან მუშაობისას;
- ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიების არსებითი ცოდნა (1996 წლის IPCC-ის შესწორებული დირექტივები და „კარგი“ პრაქტიკის სახელმძღვანელო, LEAP, ა.შ.)
- საერთაშორისო მოლაპარაკებების და პროცესების, სასურველია UNFCCC-ის ფარგლებში, ცოდნა;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა.

## **2/ GHG ინვენტარიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა**

ეროვნული GHG ინვენტარიზაციის ჯგუფის ხელმძღვანელი უნდა მოშაობდეს პროექტის მენეჯერის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით. კერძოდ, მისი პასუხისმგებლობებია (მაგრამ არაა შეზღუდული):

- პროექტის მენეჯერის (PM) დახმარება იმ ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბებაში, რომელიც GHG ინვენტარიზაციაზე იმუშავებს;
- საერთო პროექტის სამუშაო გეგმის მიხედვით GHG ინვენტარიზაციის გამხორციელების დეტალური გეგმის მომზადება;
- პროექტის მენეჯერისათვის პერიოდული ანგარიშის მიწოდება თემატურ სფეროში) GHG ინვენტარიზაციის სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.;
- სამუშაო მასშტაბისა და გუნდის/ჯგუფის შესაბამისი სამუშაო აღწერილობის მომზადება/შესრულება;
- მონაცემების შეგროვების პროცესის (გამოკითხების ჩათვლით) ხელმძღვანელობა;
- ჯგუფის მიერ GHG ინვენტარიზაციის განხორციელების ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;
- დაგეგმილი ქმედებების დროული და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა;
- PM-თან შეთანხმებით GHG ინვენტარიზაციის ჩასატარებელი მეთოდოლოგიების შერჩევა და განხორციელება;
- GHG ინვენტარიზაციის ხარვეზების (გეგმების) და მთავარი სექტორების იდენტიფიცირება;



- 2012-2013 წლების ინვენტარიზაციის მოსამზადებლად მონაცემების შეგროვებისა და მონაცემების მომწოდებლებთან ურთიერთობის ორგანიზება;
- 2010-2011 წლის ინვენტარიზაციის განახლებისათვის თემატური ჯგუფების სამოშაოების კოორდინაცია ენერჯეტიკის (ტრანსპორტის სექტორის ჩათვლით), მრეწველობის, ნარჩენების, სოფლის მეურნეობისა და LULUCF-ის სექტორების ჩათვლით;
- დაგეგმილი მონაცემების შეგროვებისა და მენეჯმენტის სისტემის გადახედვისათვის GHG ინვენტარიზაციის ჯგუფის კოორდინაცია;
- მდგრადი პროცესის გაუმჯობესებისათვის “სანიმუშო“ გამოცდილების ჩართვის ორგანიზება და კოორდინაცია, ეროვნულად მიღებული ემისიების ფაქტორების გადახედვა წლების მიხედვით (თუ საჭიროა) და GHG ინვენტარიზაციის ინსტიტუციონალიზაციისათვის საჭირო კანონებისა და რეგულაციების შესამუშავებლად საჭირო სამუშაოს ორგანიზება;
- სამუშაო მასალებისა და შემაჯამებელი ცხრილების, გაურკვევლობის გამოთვლისა და მართვისათვის, ასევე გრაფიკების, ცხრილებისა და შედეგების ანალიზის მომზადებისთვის GHG ინვენტარიზაციის ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია;
- განხილვის შედეგად მიღებული კომენტარების გათვალისწინება;
- პროექტის მენეჯერის დახმარება GHG ინვენტარიზაციისათვის რელევანტური სემინარებისა და სასწავლო ვარჯიშების (trainings) ორგანიზებაში;
- ახალი მონაცემების არქივირება და ახალი ინვენტარიზაციის ჩატარება (გამოთვლა);
- ეროვნული ინვენტარიზაციის ანგარიშისა და BUR-ის პროექტის შესაბამისი თავის (შესაბამისი შემაჯამებელი ნაწილიდან ერთად) „დრაფტის“ (დაუსრულებელი დოკუმენტი კომენტარებისა და შენიშვნების გასათვალისწინებლად) მომზადება და GHG ინვენტარიზაციის ანგარიშის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაოს ორგანიზება;

*კვალიფიკაცია და გამოცდილება*

- უმაღლესი განათლება ენერჯეტიკის, გარემოს მართვის ან სხვა პროექტისთვის მნიშვნელოვან დისციპლინაში;
- სულ მცირე 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება კლიმატის ცვლილებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებით;
- არსებითი ჩართულობა ეროვნული შეტყობინების მომზადებაში ძალიან სასურველია (GHG ინვენტარიზაცია და შემცირების ანალიზი) ;
- GHG ინვენტარიზაციის პროცესისა და IPCC მეთოდოლოგიის კარგი ცოდნა;
- ანალიტიკური უნარები და „სადრაფტო“ (მოსამზადებელი) სამუშაოების ჩატარების უნარი; (Demonstrated ability of analytical and drafting work);
- კომპიუტერის და მონაცემების დამუშავების ცოდნა;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

**3/ შერბილების ჯგუფის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა**

შერბილების ჯგუფის ხელმძღვანელი უნდა მოშაობდეს პროექტის მენეჯერის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით. კერძოდ, მისი პასუხისმგებლობებია (მაგრამ არაა შეზღუდული):

- პროექტის მენეჯერის დახმარება ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბებაში შერბილების ჯგუფის ქმედებების განხორციელებისათვის;
- პროექტის მენეჯერისათვის პერიოდული პროგრესის ანგარიშის მიწოდება/მომზადება შერბილების ჯგუფში განხორციელებული ქმედებების შესახებ;

- სამუშაო მასშტაბის განსაზღვრა და გუნდის/ჯგუფის შესაბამისი სამუშაო აღწერილობის მომზადება;
- NC-ის რეკომენდაციებზე დაყრდნობით FBUR-ის პროექტის შერბილების ანალიზის ხელმძღვანელობა (მომზადების ფაზაში TNC-ის საწყისი რეკომენდაციების ჩათვლით);
- სექტორული შერბილების შეფასების ხელმძღვანელობა, რომელიც მოიცავს მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების ანალიზს, რომელნიც ხელს უწყობენ შერბილების ტექნოლოგიებისა და პრაქტიკის სწრაფ დანერგვას, ასევე, გავრცელების შესაძლებლობით, შერბილების ვარიანტების მაკროეკონომიკურ ეფექტებს (მწვანე სამუშაო ადგილების შესაძლებლობების ჩათვლით);
- შერბილების ჯგუფის ანალიტიკური სამუშაოს ორგანიზება და კოორდინაცია იმ მიზნით, რომ მოხდეს ქვეყნის შერბილების პოტენციალის იდენტიფიცირება/შესწორება ტექნიკური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით თანამონაწილეობითი პრინციპის გამოყენებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სახელმწიფოს პრიორიტეტებთან კავშირები და რეკომენდირებული ღონისძიებების განხორციელება;
- შერბილების ჯგუფის მუშაობის ორგანიზება და კოორდინაცია შერბილების ღონისძიებების პრიორიტეტიზაციისას შესაბამისი კრიტერიუმების მიღებით, ასევე შერბილების ღონისძიებების შესაფასებლად მიღებული კრიტერიუმებით, და ასევე NAMA-ს მომზადების მხარდასაჭერად;
- შერბილების ჯგუფის მუშაობის ორგანიზება და კოორდინაცია GHG-ის შერბილების პოტენციალის განსაზღვრისათვის ეროვნული შესაძლებლობების გასაძლიერებლად ემისიების შეზღუდვა/შემცირების პოტენციური მიზნების ანალიზის ჩათვლით;
- სასწავლო სემინარების ჩატარება და ცნობიერების ამაღლება, UNFCCC-ის ჩარჩოში, იმ სექტორებში, სადაც არსებობს შერბილების პოტენციალი;
- სხვადასხვა ტიპის დაფინანსებისა და თანადაფინანსების საჭიროებების იდენტიფიკაციის მიზნით შეფასების პროცესის ორგანიზება;
- დაგეგმილი ქმედებების დროული და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა;
- განხილვის პროცესის შედეგად მიღებული კომენტარების გათვალისწინება;
- BUR-ის პროექტის შესაბამისი თავის „დრაფტის“ (დაუსრულებული ვერსია დოკუმენტის) მომზადება შესაბამის შემაჯამებელი ნაწილთან ერთად.

#### *კვალიფიკაცია და გამოცდილება*

- უმაღლესი განათლება ენერგეტიკის, გარემოს მართვის ან სხვა პროექტისთვის მნიშვნელოვან დისციპლინაში;
- სულ მცირე 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება კლიმატის ცვლილებისა და კლიმატის ცვლილების შერბილებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებით;
- არსებითი ჩართულობა ეროვნული შეტყობინების მომზადებაში ძალიან სასურველია (შერბილების ანალიზი) ;
- შერბილების პროცესის და შერბილების ქმედების საფუძვლიანი ცოდნა;
- ანალიტიკური უნარები და დოკუმენტების/ანგარიშების შედგენის გამოვლენილი უნარი;
- კომპიუტერის და მონაცემების დამუშავების ცოდნა;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

#### **4/ შიდა MRV-ის ჯგუფის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა**

შიდა MRV ჯგუფის ხელმძღვანელი უნდა მოშაობდეს პროექტის მენეჯერის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით. კერძოდ, მისი პასუხისმგებლობებია (მაგრამ არაა შეზღუდული):

- პროექტის მენეჯერის დახმარება ექსპერტთა ჯგუფის ჩამოყალიბებაში შიდა MRV-ის ჯგუფის ქმედებების განხორციელებისათვის;
- პროექტის მენეჯერისათვის პერიოდული პროგრესის/განვითარების ანგარიშის მიწოდება/მომზადება შიდა MRV ჯგუფში განხორციელებული ქმედებების შესახებ;
- სამუშაო მასშტაბის დადგენა და გუნდის/ჯგუფის წევრების სამუშაო აღწერილობების შედგენა;
- შიდა MRV ჯგუფის მუშაობის (რომელიც გულისხმობს შიდა MRV სისტემის ჩამოყალიბების მხარდაჭერას) ორგანიზება და კოორდინაცია შერბილების ეროვნული ქმედებებისათვის კონვენციის დირექტივების ფარგლებში;
- შიდა MRV ჯგუფის მუშაობის ორგანიზება და კოორდინაცია შეფასებისათვის, რომელიც სახელმძღვანელოების შესაბამისად განხორციელდება შიდა MRV-ის განვითარებისათვის მიუხედავად მრავალი ვარიანტებისა და შესაძლებლობისა, რომელიც ითვალისწინებს ეროვნულ ვითარებასა და შესაძლებლობებს და ასევე შერბილების ქმედებების სხვადასხვა მახასიათებლებს;
- შიდა MRV-ის ჩამოყალიბებისათვის ეროვნული ინსტიტუციური და ლეგალური ჩარჩოების განვითარების პროცესის ტექნიკური მხარდაჭერის ხელმძღვანელობა;
- შიდა MRV სისტემისა და მისი ჩაბარების მომზადების პროცესის ორგანიზება;
- დაგეგმილი ქმედებების დროული და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა;
- განხილვის პროცესის შედეგად მიღებული კომენტარების გათვალისწინება;
- BUR-ის პროექტის შესაბამისი თავის „დრაფტის“ (დოკუმენტის მოსამზადებელი, დაუსრულებელი ვერსია) მომზადება შესაბამის შემაჯამებელი ნაწილთან ერთად.

*კვალიფიკაცია და გამოცდილება*

- უმაღლესი განათლება ენერჯეტიკის, გარემოს მართვის ან სხვა პროექტისთვის მნიშვნელოვან დისციპლინაში;
- სულ მცირე 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება კლიმატის ცვლილებისა და კლიმატის ცვლილების შერბილებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებით;
- შერბილების პროცესის და შერბილების ქმედების საფუძვლიანი ცოდნა;
- ანალიტიკური უნარები და დოკუმენტების/ანგარიშების შედგენის გამოვლენილი უნარი;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

**5/ ეროვნული ვითარებისა და ინსტიტუციური მოწყობის წამყვანი ექსპერტის სამუშაო აღწერილობა**

ეროვნული ვითარებისა და ინსტიტუციური მოწყობის წამყვანი ექსპერტი უნდა მოშაობდეს პროექტის მენეჯერის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით. კერძოდ, მისი პასუხისმგებლობებია (მაგრამ არაა შეზღუდული):

- ეროვნული ვითარებისა და ინსტიტუციური მოწყობის პროცესის მონაცემების შეგროვების ხელმძღვანელობა;
- დაგეგმილი ქმედებების დროული და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა;
- მეორე ეროვნულ შეტყობინებაში (SNC) მოცემული ეროვნული ვითარების შესახებ ინფორმაციის განახლებისათვის ქმედებების ორგანიზება, სადაც გათვალისწინებული იქნება SNC-ის მომზადების შემდეგ განხორციელებული ახალი კვლევები, პროექტები, პროგრამები და კვლევები;
- ქმედებების ორგანიზება, რომელიც მოემსახურება ქვეყნის მახასიათებლების განახლებას დემოგრაფიის, ბუნებრივი რესურსების, კლიმატისა და განათლების, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით, ასევე მაკროეკონომიკური პარამეტრები, როგორცაა

დასაქმება, შემოსავალი და მომსახურება, სპეციფიკური სექტორების მახასიათებლების ჩათვლით, როგორებიცაა წყალი, რესურსები, ენერჯია, ნარჩენები, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა;

- ანალიზის ჩატარება, ახდენს თუ არა ეროვნული ვითარება გავლენას ქვეყნის უნარზე გადაწყვიტოს კლიმატის ცვლილების შერბილების საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ახალ ინფორმაციასა და მონაცემებს იმ სექტორების შესახებ, რომლებიც არიან უმზვილესი წყაროები სათბური გაზების (GHG) გაფრქვევის;
- ეროვნული განვითარების მიზნების, პრიორიტეტებისა და გარემოებების ანალიზი, სპეციფიკური საჭიროებების და ინტერესების ჩათვლით, რომლებსაც ნეგატიური გავლენა აქვთ კლიმატის ცვლილებაზე;
- შეფასების განხორციელება იმისათვის, რომ მიღებულ იქნეს ინფორმაცია ინსტიტუციურ მოწყობასა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე და რომელიც მნიშვნელოვანია ეროვნული შეტყობინებისა და ორწლიური განახლებული ანგარიშების მომზადებისათვის;
- განხილვის პროცესის შედეგად მიღებული კომენტარების გათვალისწინება;
- პროექტის მენეჯერის დახმარება სასწავლო სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების მოწყობაში;
- BUR-ის პროექტის ეროვნული ვითარებისა და ინსტიტუციური მოწყობის თავის „დრაფტის“ (დოკუმენტის მოსამზადებელი, დაუსრულებული ვერსია) მომზადება შესაბამის შემაჯამებელი ნაწილთან ერთად.

#### *კვალიფიკაცია და გამოცდილება*

- უმაღლესი განათლება ენერჯეტიკის ან ეკონომიკის ან სხვა პროექტისთვის მნიშვნელოვან დისციპლინაში;
- სულ მცირე 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება კლიმატის ცვლილებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებით;
- არსებითი ჩართულობა ეროვნული შეტყობინების მომზადებაში ან სხვა განვითარების პროგრამაში ძალიან სასურველია;
- ანალიტიკური უნარები და დოკუმენტების/ანგარიშების შედგენის გამოვლენილი უნარი;
- კომპიუტერის და მონაცემების დამუშავების ცოდნა;
- ინგლისური ენის კარგად ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.